საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-277

26/03/2019

ქ. თბილისი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სოფ. ანაგასა და სოფ. ვაქირის გამყოფი ხევის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანაგასა და სოფ. ვაქირის გამყოფი ხევის ნაპირდაცვითი სამუშაოების პროექტის განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხევის ჭალა-კალაპოტის ძლიერი დასილვის გამო საპროექტო მონაკვეთზე გაედინება აკუმულირებული მასალის სიღრმეში. საპროექტო უბნის საავტომობილო გზასთან გადაკვეთის უბანში კვეთი მთლიანად ჩამარხულია. გაზაფხულის და შემოდგომის წვიმების დროს იტბორება საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები. წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს კალაპოტში დაგროვილი ჭარბი აკუმულირებული მასალისგან გაწმენდას და საპროექტო მონაკვეთზე მდინარის გამტარუნარიანობის გაზრდას. ავარიული უბანი მოიცავს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანაგასა და სოფ. ვაქირის გამყოფი ანაგისხევის ტერიტორიის შემდეგ GPS კოორდინატებს: კოორდინატებია: X – 57213,996; Y- 4610795,062 X – 577326,745; Y- 4611201,960. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 27 მეტრით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არსებული კალაპოტის 1217 მ-იანი მონაკვეთის გაწმენდა. საპროექტო ტერიტორიის აგეგმვის შედეგად დადგინდა, რომ ხიდის ნაგებობა დაფიქსირებულია მე-9 კვეთზე (პკ 2+91). აღნიშნულიდან გამომდინარე საპროექტო არხის სიგანე უნდა გაუტოლდეს მე-9 კვეთზე არსებულ ხიდის მალს. საპროექტო ტერიტორიის ფსკერის სიგანე იქნება 2 მეტრი, ფერდის დახრილობა-1,5 მ. მდინარიდან ამოსაღები მასალის მოცულობა შეადგენს 9375,4 მ 3 . ამოღებული ნაშალი მასალის განთავსება მოხდება საპროექტო ტერიტორიიდან 10 კილომეტრის რადიუსში.

სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილია წყალმცირობის პერიოდში. ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკის მოწყობა არ არის დაგეგმილი. სამუშაოების ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკა სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდება თავის დისლოკაციის ადგილს. აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისთვის გათვალისწინებულია ორი ერთეული

ავტოთვითმცლელი, ორი ექსკავატორი და ერთი ბულდოზერი. სამშენებლო ტექნიკის მუშაობა რეგლამენტირებული იქნება დღის სამუშაო დროით. დაგეგმილი სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს ორ თვეს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სამშენებლო მოედანზე არ იქნება შეტანილი სხვა სახის სამშენებლო მასალა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება ცალკე გამოყოფილ სათავსოში და გადაეცემა იურიდიულ პირს შემდგომი მართვისთვის, რომელსაც ექნება შესაბამისი ნებართვა. სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება სამუშაოების განხორციელების ეტაპზე არ არის მოსალოდნელი. ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების ზონა არ ხვდება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. პროექტი არ ითვალისწინებს მრავალწლოვანი ხე-მცენარეების ჭრას. აღნიშნული ანგარიშის შესაბამისად ხმაურს გამოიწვევს სამშენებლო ტექნიკა მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაო საათებში. სამუშაოების განხორციელების ვადის გათვალისწინებით ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება შეფასდება როგორც უმნიშვნელო. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა ობიექტები.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები გარემოსდაცვითი ხასიათისაა და რაიმე მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებთან დაკავშირებული არ არის. დაგეგმილი პროექტის განხორციელებისთვის განსაზღვრული მცირე დროის და ტექნიკის რაოდენობის გათვალისწინებით, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სიღნაღის მუნიციპალიტეტში სოფ. ანაგასა და სოფ. ვაქირის გამყოფი ხევის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი